შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2024 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის 2024 წლის 08 თებერვლის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N056/22 (საქმე Nსსდ-02-24).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია – კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე – კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ფ. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.07.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №056/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის /სიითი №6128/ მიმართ

ადვოკატის წარმომადგენელი: მ. ჭ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 12 ივლისს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ფ. შ.-მ, ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის წინააღმდეგ. 2024 წლის 17 იანვარს განხილვის სხდომაზე ფ. შ.-მ მხარი დაუჭირა საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს.

1.2 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2022 წლის ივნისის დასაწყისში მას სოციალური ქსელით „Facebook-ის“ მესენჯერით დაუკავშირდა ლ. ზ., რომელმაც განუმარტა, რომ მათ შორის არსებული სამართლებრივი საკითხის მოსაგვარებლად აიყვანა ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი და სთხოვა, რომ ადვოკატთან დაეწყო კომუნიკაცია სოციალური ქსელის მეშვეობით, რაზეც საჩივრის ავტორმა განაცხადა უარი, რადგან მისი პოზიციით, სოციალური ქსელი არ წარმოადგენს ოფიციალურ საკომუნიკაციო სივრცეს. ფ. შ.-ის განმარტებით, მან ლ. ზ.-ს გადასცა თავისი ელ.ფოსტის მონაცემები და აცნობა, რომ ადვოკატი დაკავშირებოდა ელ.ფოსტის მეშვეობით. 2022 წლის 29 ივნისს, მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი დაუკავშირდა მას, გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომელიც ფ. შ.-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას უკავშირდებოდა. ადვოკატის მხრიდან დაკავშირება განხორციელდა სოციალური ქსელის „Facebook-ის“ მესენჯერით და ელ.ფოსტის მეშვეობით.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ მისთვის მიწერილი ტექსტები იყო შინაარსობრივად და გრამატიკულად გაუმართავი, რის გამოც მან ადვოკატს რამდენჯერმე სთხოვა ნათლად ჩამოეყალიბებინა ტექსტი, გამართული ქართულით და შემდეგ გაეგრძელებინათ კონტაქტი. ამასთან, მიუთითა, რომ მასთან კონტაქტი გაეგრძელებინა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მაგრამ არა რუსული სერვერით (mail.ru), რომელიც რუსეთის მიერ კონტროლდება და სადაც ინფორმაცია არ იყო დაცული, ხდებოდა ამ ინფორმაციის გაფილტვრა, წაკითხვა და მანიპულირება რუსეთის მხრიდან. ამ მოთხოვნამ ადვოკატი გააღიზიანა და მომჩივანს სწერდა შანტაჟის შემცველ შეტყობინებებს ელ.ფოსტის მეშვეობით. ამის გამო, საჩივრის ავტორმა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილთან მიმოწერა შეწყვიტა, რადგან მიიჩნია, რომ ლაშა ჯანიბეგაშვილი არ იქნებოდა ადვოკატის სტატუსის მატარებელი.

1.4 საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა საერთოდ არ იცოდა იმ საქმის შინაარსი და რეალური ფაქტები, რაზეც მას უკავშირდებოდა. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი არ არის კომპეტენტური. მან არ იცოდა საქმის არსი, ის არ ფლობდა ინფორმაციას, რომ ეს ბინა, მის კლიენტსაც არ ეკუთვნოდა. ეს ბინა ლ. ზ.-ს ქმრის სახელზე იყო რეგისტრირებული, რომელიც ბანკში იყო ჩადებული. ადვოკატმა ისიც არ იცოდა, რომ ეს ბინა არა ი. შ.-ს, არამედ მომჩივანის სახელზეა რეგისტრირებული.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მისი დისკრედიტაციისა და სახელის გატეხვის მიზნით, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა სრულიად მცდარი ინფორმაცია. კერძოდ, 2022 წლის 11 ივლისს ადვოკატმა საკუთარ „Facebook“ გვერდზე განათავსა შემდეგი პოსტი: *„ცნობილი დოქტორი ამერიკაში მცხოვრები მილიონერმა საკუთარ ნათესავის ბინა ჯერ გადაიფორმა ხელშეკრულების გარეშე შემდეგ კი ფულს სძალავდა ატყუებდა საკუთარ ნათესავებს, შემდეგ მე ადვოკატს ანუ მე მოლაპარაკება რომ ვცადე შანტაჟი გამიკეთა და დამემუქრა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს რომლებიც მისი დეიდაშვილები არიან ქუჩაში ყრის. მითხარით რა არის ეს?“*(ციტირება, 5 ივნისის პოსტი)*; „ფ. შ.-ვ არაერთხელ მოგწერეთ თქვენი და თქვენი მეუღლის ი. შ.-ს მიმართ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თქვენი მეუღლის ნათესავია რომლის ქონებაც გადაიფორმეთ და თანხას სძალავდით წლობით. ან კავშირზე გამოდით დროულად ან იძულებული ვიქნები შესაბამის სამართლებრივ ზომებს მივმართო. მე*

არ მესმის მილიონერი როცა ხარ, საკუთარ ნათესავს ბინას რატომ უნდა ართმევდე და ფულს რატომ უნდა სძალავდე?!!" (ციტირება, 11 ივნისის პოსტი). მოპასუხე ადვოკატმა ამ პოსტს თან დაურთო ფ. შ.-ის ფოტო და მას საჯაროდ თაღლითობაში დასდო ბრალი, თითქოს ის ვიღაცეებს ფულს სძალავდა, აშანტაჟებდა და ბინიდან აგდებდა.

1.5 მომჩივანის პოზიციით, პოსტი შეიცავდა არასწორ და შეურაცხმყოფელ ინფორმაციას. ადვოკატმა მისი ფოტო მოიპოვა საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გვერდიდან. ადვოკატმა მათი ოჯახის შესახებ არასწორი ინფორმაცია შეგნებულად გაავრცელა მათ მეგობრებთან. ადვოკატის მიერ გამოქვეყნებულ საჯარო პოსტს აკომენტარებდა არაერთი ადამიანი.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ლაშა ჯანიბეგაშვილი არის მატყუარა და მისი არც ერთი სიტყვის დაჯერება შეიძლება. ამას ადასტურებს გარემოება, რომ ადვოკატი საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე ამბობდა, რომ თითქოს მას და მის მეუღლეს არ იცნობდა და ამჟამად მან ეს პოზიცია შეცვალა და უთითებს, რომ ლ. ზ.-ს საქმეს აწარმოებდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველივე წერილში, რომელიც მან მიიღო ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილისგან მითითებულია ადვოკატის სტატუსი - რომ ის არის ლ. ზ.-ს ადვოკატი. საჩივრის ავტორის განმარტებით, ლაშა ჯანიბეგაშვილმა არ იცის ქართული წერა-კითხვა და მისთვის წარმოუდგენელია, რომ ეს ადამიანი არის ან ადვოკატი და/ან ჟურნალისტი.

1.8 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს უნდა შეუწყდეს საადვოკატო საქმიანობის უფლება, რადგან ის მანიპულირებს ადვოკატის სტატუსით და შეცდომაში შეჰყავს ადამიანები, მათ აწვდის არასწორ ინფორმაციას.

1.9 ადვოკატის არგუმენტზე, რომ მას ეს სოციალური ქსელი, სადაც განთავსებული იყო სადავო პოსტი, გაუტეხეს, საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ეს ფაქტი, დადასტურების შემთხვევაშიც კი, ადვოკატის პასუხისმგებლობას არ გამორიცხავდა, რადგან ადვოკატმა პოსტი გამოაქვეყნა ივლისის დასაწყისში და განცხადება „Facebook-ის" გვერდის გატეხვის შესახებ, როგორც თავად განმარტავს, წარადგინა აგვისტოში.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2022 წლის 20 ივლისს ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ფ. შ.-ის საჩივარი აშკარა მაგალითია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაზე ზეწოლის, შანტაჟისა და მუქარის.

2.2 ადვოკატის პოზიციით, მას „Facebook-ის" ანგარიში - „ლაშა ჯანიბეგაშვილი" გაუტეხეს და ამ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, ამჟამად ეს ანგარიში აღარ არსებობს და მისი მართვის შესაძლებლობა მას აღარ აქვს. ივლისიდან აგვისტოს თვემდე ის ცდილობდა აღედგინა თავისი ანგარიში და შემდეგ მიმართა პოლიციას. ადვოკატმა განმარტა, რომ მას სადავო პოსტი ნანახი არ აქვს. ამჟამად მას აქვს ფეისბუქის ანგარიში - „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი/lawyer lasha Janibegashvili". ადვოკატი განმარტავს, რომ ამ გვერდიდან მას საჯარო განცხადება არ გაუკეთებია.

2.3 საპროცესო ეტაპზე ადვოკატმა განმარტა, რომ არ იცნობს არც ფ. შ.-ს და არც ი. შ.-ს. ის არ დაკავშირებია მათ არც ფეისბუქ მესენჯერის მეშვეობით და არ უწარმოებია მიმოწერა, არც მათი

ფოტოები გამოუქვეყნებია. ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ კლიენტის დავალებით, მას აქვს უფლება გაასაჯაროვოს ინფორმაცია, კლიენტის ინტერესის სასარგებლოდ და საჯაროდ გამხდარი ფოტოს გამოქვეყნება ადვოკატის მიერ, არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მომჩივანის პრეტენზიები გამომდინარეობს სოციალური ქსელის მიმოწერებიდან, რომლებიც ავთენტური არ არის და მათი შინაარსი მოიცავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც ადვოკატმა განახორციელა თავის დაცვის ქვეშ მყოფი პირის დასაცავად, კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატი მიმოწერის მისდამი კუთვნილების ფაქტს ხდის სადავოდ და მტკიცების ტვირთს მომჩივანს აკისრებს. ადვოკატი განმარტავს, რომ მან რაც ფ. შ.-ს მისწერა პირადში, ეს გამოიყენა ფ. შ.-მ, თავად შექმნა და გამოაქვეყნა პოსტები ყალბი „Facebook-ის“ ანგარიშიდან. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ საკითხის გამოკვლევა სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას, წარმოება უნდა შეწყდეს, რადგან ფ. შ. არ არის პროცესის მონაწილე.

2.5 ადვოკატმა განხილვის კოლეგიის 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ ის თავს აღიქვამს მედია ჟურნალისტად და ინფორმაციებს აქვეყნებს არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც ჟურნალისტი. ადვოკატი განმარტავს, რომ მას აქვს რამდენიმე გვერდი სოციალურ ქსელებში, რომელსაც ბევრი მიმდევარი ჰყავს და ის მედია საშუალებებს მართავს ისე, როგორც ჟურნალისტი. ადვოკატმა განმარტა, რომ ლ. ზ.-ს საქმეში ჩართული იყო რწმუნებულად. ადვოკატის განმარტებით, ფ. შ.-მ თაღლითური გზით მიისაკუთრა ლ. ზ.-ს ქონება და 4 წელი სისხლიან ფულს სძალავს. ადვოკატი საჩივრის ავტორს უწოდებს მანიპულატორს და განმარტავს, რომ მისი ქმედება არის ამორალური და ზღვარს გადასული. ადვოკატმა განმარტა, რომ ფ. შ.-ის მიმართ სასამართლოში რომ წასულიყო, შედეგს დიდი ხანი ვერ მიიღებდა, ამიტომ არჩია კლიენტის სამართლებრივი პრობლემის სხვა საშუალებით მოგვარება. ადვოკატის პოზიციით, სასამართლოს გარეშე საქმის მოგვარება იყო მისი სტრატეგია.

2.6 ადვოკატის პოზიციით, კომუნიკაციაში ფ. შ. იყო არაადეკვატური, რაც გამოიხატებოდა ფრაზეოლოგიაში: „დიპლომი მანახე“; „mail.ru-დან ნუ მწერ“, „წერტილ-მძიმე დამისაბუთე“.

2.7 ადვოკატმა განაცხადა (ციტირება): „მე რომ ასოციაციის წევრი არ ვიყო, ფ. შ. ახლა რაზეც დავობს ეს არაფერია, ისეთი ბულინგის მსხვერპლი გახდებოდა“. ადვოკატმა განმარტა, რომ სათანადოდ ვერ ამხელს მატყუარებს და თაღლითებს, იმის გამო რომ ეთიკის კომისია ბოჭავს.

2.8 ადვოკატი ადასტურებს, რომ ელ.ფოსტით მიმოწერები მას აქვს განხორციელებული.

2.9 ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ამ საქმეში ის წარმოადგენდა არა ადვოკატს, არამედ ჟურნალისტს. შესაბამისად, მისი ქმედებები უნდა შეფასებულიყო, როგორც ჟურნალისტის საქმიანობა და მასზე არ უნდა გავრცელებულიყო ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა.

3. ადვოკატის მოწმის ლ. ზ.-ს პოზიცია:

3.1 ადვოკატის მოწმემ, ლ. ზ.-მ განხილვის კოლეგიის 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე განმარტა, რომ მან, მის ნათესავთან სამართლებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით მიმართა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს. მოწმის ინფორმაციით, მან ნათესავს, ი. შ.-ს სთხოვა ფინანსური დახმარება

9000 აშშ დოლარის ოდენობით. ნათესავმა ფული მანამდე არ მისცა, სანამ ბინა არ გადაუფორმა, გარანტიის სახით. ბინის გადაფორმების შემდეგ, ის თანხას უხდიდა ი. შ-ს მეუღლეს - ფ. შ.-ს. მოწმე განმარტავს, რომ ფ. შ.-სთან ბინის შესახებ მოლაპარაკება არ ჰქონია, ის მოლაპარაკებას აწარმოებდა საკუთარ დეიდაშვილთან - ი. შ.-სთან, თუმცა ბინა გაფორმდა ფ. შ.-ის სახელზე.

3.2 მოწმის განმარტებით, მას ემიგრაციაში შეექმნა ბევრი პრობლემა, ერთი წლის განმავლობაში გაუჭირდა მუშაობა. ი. შ.-მ მას უთხრა, რომ სანამ ძირ თანხას დაფარავდა, მისთვის გადაეხადა პროცენტები, რასაც დასთანხმდა, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა. რაღაც პერიოდი ვერ იხდიდა პროცენტს, დაახლოებით 200 აშშ დოლარს და ი. შ.-ს სთხოვა, თანხა გაენაწილებინა. ი. შ.-მ ჯამური თანხა გაუნაწილა 36 თვეზე. მოწმე განმარტავს, რომ 21 თვე შეძლო თანხის გადახდა, რის შემდეგაც, დაემთხვა პანდემია და გადახდა ვეღარ შეძლო. ი. შ.-მ მას შესთავაზა ადვოკატის აყვანა, რომ მასთან გაერკვია ფინანსური საკითხები. ამის გამო, მოწმემ, მის ნათესავთან სამართლებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით, მიმართა დახმარებისთვის ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს. მოწმის განმარტებით, მან ადვოკატს სთხოვა დახმარება ფ. შ.-ს და ი. შ.-სთან კომუნიკაციაში, რომ გარკვეულიყო რა ოდენობის თანხა ჰქონდა გადასახდელი კიდევ გადასახდელი. მან ადვოკატს სთხოვა შუამავლობის გაწევა ამ საქმეში. ეს არ გამოვიდა, ი. შ.-მ ადვოკატი დაბლოკა და მას შეუთვალა, „ვინ გამომიგზავნე უტვინოო“.

3.3 ამის შემდეგ დაუკავშირდა ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი, აცნობა რომ ი. შ. მასთან კომუნიკაციაში არ შევიდა და ჰკითხა ბინა ვის სახელზე იყო. მოწმემ აცნობა, რომ ბინა იყო ფ. შ.-ის სახელზე. ადვოკატმა განუმარტა, რომ „ის მაინც კაცია და შეიძლება გავუგზავნო, რაღაც დებატებზე გამოვიდეს და რაღაც შეთანხმებას მივაღწიოო“. მისი ინფორმაციით, ფ. შ.-მ მის ადვოკატს მოსთხოვა დოკუმენტები, რაც ადვოკატმა მას გაუგზავნა. თუმცა მოპალარაკება არც ფ. შ.-სთან შედგა.

3.4 მოწმე განმარტავს, რომ მას ფ. შ.-სთან არანაირი მოლაპარაკება არ ჰქონია და ადვოკატისთვის არ უთქვამს, რომ ის თანხას სძალავდა. მას მოლაპარაკება ჰქონდა საკუთარ დეიდაშვილთან - ი. შ.-სთან.

3.5 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატს მისცა უფლება გამოექვეყნებინა ინფორმაცია ფართო საზოგადოების წინაშე, ფ. შ.-ისა და ი. შ.-ს შესახებ, სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით.

3.6 მომჩივანის კითხვაზე, თუ ვინ ცხოვრობს ამჟამად მის საკუთრებაში არსებულ ბინაში, მოწმემ განმარტა, რომ ამჟამად ამ ბინაში თავად ცხოვრობს.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2022 წლის 13 ოქტომბერს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე დადგინდა, რომ ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ დარღვეულია კლიენტის კანონიერი საშუალებების გამოყენებით დაცვისა და პროცესის მონაწილის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება

(ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 3.ა; 5.გ; 6.1 მუხლები; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, მუხლი 5; 9.1; 9.4).

5. განხილვის კოლეგიის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები:

2023 წლის 16 თებერვლის სხდომა გადაიდო ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე; 2023 წლის 15 აგვისტოს სხდომა გადაიდო კოლეგიის წევრის არ ყოფნის გამო; საქმეზე არსებითი სხდომა ჩატარდა 2023 წლის 20 დეკემბერს და 2024 წლის 17 იანვარს. საქმის წარმოების მიმდინარეობისას მოპასუხე ადვოკატმა დააყენა რამდენიმე შუამდგომლობა:

5.1 2023 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა დააყენა კოლეგიის თავმჯდომარის, ანა ლორიას აცილების შუამდგომლობა იმ საფუძვლით, რომ კომისიის წევრმა ანა ლორიამ ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში განმარტა, რომ ის სტუდენტებთან ასაჯაროვებს კონფიდენციალურ ინფორმაციას. კომისიის წევრმა ანა ლორიამ განმარტა, რომ სხვა საგნებთან ერთად, ის ნამდვილად კითხულობს იურიდიული ეთიკის კურსს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში, თუმცა განმარტა, რომ მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებს განიხილავს, რომელიც დასრულებულია, კანონიერ ძალაშია შესული და ატვირთულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, ის არანაირ კონფიდენციალურ ინფორმაციას არ ასაჯაროვებს. ადვოკატს განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაევალა წარმოედგინა მის მიერ მითითებული, სხვა დისციპლინურ საქმეზე ეთიკის კომისიის სხდომის 2022 წლის 24 ივნისის სხდომის ოქმი, რომელზეც ამყარებდა თავის მოთხოვნას აცილების ნაწილში. ადვოკატს აღნიშნული ოქმი არ წარმოუდგენია. კოლეგიამ (ანა ლორიას მონაწილეობის გარეშე) დამოუკიდებლად გამოიკვლია სხდომის ოქმი, სადაც არ დადასტურდა ის პრეტენზია, რაც ადვოკატს კოლეგიის წევრის, ანა ლორიას მიმართ აქვს. შესაბამისად, ანა ლორიას აცილების შუამდგომლობა ამ საფუძვლით არ დაკმაყოფილდა.

5.2 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა კიდევ ერთხელ დააყენა კოლეგიის თავმჯდომარის, ანა ლორიას აცილების შუამდგომლობა. ადვოკატის განცხადებით, ანა ლორიას მიმართ მას არაერთხელ აქვს მიმართული პროკურატურისათვის გამოძიების დაწყების მოთხოვნით 2021 წელს, პერსონალური მონაცემების შესაძლო გასაჯაროვების გამო. ადვოკატმა განმარტა, რომ ანა ლორია მის მიმართ ყოველთვის გამოირჩეოდა ცინიზმით, ტენდენციურობითა და მიკერძოებულობით. ადვოკატმა განაცხადა, რომ მას ანა ლორია სდევნის პროფესიული ნიშნით. ადვოკატი განმარტავს, რომ ანა ლორიამ მის მიმართ რამდენიმე საქმეზე აღძრა დისციპლინური დევნა, რომლებზეც შემდეგ ის გამართლდა. ადვოკატის განმარტებით, მას გუშინ დაუკავშირდა 2 სხვადასხვა სუბიექტი, რომლებმაც მის მიმართ განახორციელეს მუქარა. ადვოკატის განმარტებით, ამ ყველაფერს უკავშირებს იმ ფაქტს, რომ მან ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, კონსტანტინე გელაშვილის მიმართ მიმართა სხვადასხვა ორგანოს, კონსტანტინე გელაშვილსა და ანა ლორიას კი აქვთ მეგობრული ურთიერთობა. ანა ლორიამ განმარტა, რომ მას კონსტანტინე გელაშვილთან არ აქვს მეგობრული ურთიერთობა, მათი ურთიერთობა არის საქმიანი. ის ადასტურებს ადვოკატის სიტყვებს, რომ მას ნამდვილად აქვს მოპასუხე ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნა აღძრული სხვა საქმეებში, თუმცა, ასევე აქვს მის მიმართ არ

აძღვრის გადაწყვეტილებაც გამოტანილი, რაც აქარწყლებს მის მიმართ წაყენებულ პრეტენზიას, თითქოს ის არის მიკერძოებული და დევნის ადვოკატს პროფესიული ნიშნით.

5.3 „ეთიკის კომისია დისციპლინურ საქმეს განიხილავს მიუკერძოებლად. მიუკერძოებლობა ნიშნავს საქმისადმი წინასწარი დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას და იგი ფასდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის მიხედვით. სუბიექტური კატეგორიის შეფასებისას ყურადღება მახვილდება საქმის განმხილველი წევრის პირად დაინტერესებაზე საქმის მიმართ. ევროსასამართლოს პრაქტიკით აღიარებულია პრეზუმფცია, რომ კოლეგიის წევრი არ არის სუბიექტურად მიკერძოებული. ეს გამომდინარეობს სამართალურთიერთობებში მონაწილე პირთა კეთილსინდისიერების პრეზუმფციიდან. ივარაუდება, რომ კოლეგიის წევრი აიცილებდა საქმეს, რომ თვლიდეს თავს მიკერძოებულად. სუბიექტური ტესტისაგან განსხვავებით, ობიექტური ტესტი აწესებს დამატებით გარანტიებს და აცილების წინაპირობებს განმარტავს უფრო ფართოდ. ობიექტური კატეგორიის მიხედვით უნდა შეფასდეს ფაქტები, რომლებმაც შესაძლებელია გონიერი დამკვირვებლის თვალში წარმოშვას ეჭვი კომისიის წევრის მიკერძოებაზე“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“ 01.11.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 098/18, 11.1.4-11.1.5).

5.4 განხილვის კოლეგიამ (ანა ლორიას მონაწილეობის გარეშე) განიხილა მოპასუხე ადვოკატის - ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ დისციპლინური საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე წარმოდგენილი შუამდგომლობა კოლეგიის თავმჯდომარის ანა ლორიას აცილების თაობაზე და გადაწყვიტა, რომ აცილების შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს დებულებით გათვალისწინებული აცილების სამართლებრივი საფუძველი. აცილების შესახებ განცხადება დაკმაყოფილდება, თუ დადასტურდება დებულების 11.1 მუხლში მითითებული გარემოებები (ადვოკატთა დისციპლინური პასუხიმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 12.4). ამასთან, კომისია დამატებით განმარტავს, რომ დარღვეული იყო პროცესუალური მხარეც, კერძოდ, ადვოკატის მიერ დარღვეული იყო აცილების შესახებ პრეტენზიის წარდგენის დებულებით გათვალისწინებული ვადა. შესაბამისად, კოლეგიამ წარმოდგენილი შემადგენლობით გააგრძელა დისციპლინური საქმის განხილვა.

5.5 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა შუამდგომლობით მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება, რადგან მისი პოზიციით საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში, აღნიშნულ საქმეზე მის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული დისკრიმინაციის საფუძვლით. კოლეგიამ ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ დისციპლინურ საქმეზე N057/22 შეჩერებული იყო წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებიდან გამომდინარე. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება გაუქმებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ არსებობს საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22.1 მუხლის საფუძველზე.

5.6 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე ადვოკატმა იშუამდგომლა მოწმის სახით მისი კლიენტის, ლ. ზ.-ს გამოკითხვის შესახებ. კოლეგიამ ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

5.7 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე ადვოკატი ითხოვს საქმეს დაერთოს შემდეგი მტკიცებულება - ცნობა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიიდან იმის დასტურად, რომ ის ახორციელებს ჟურნალისტურ საქმიანობას და ჰყავს ფართო აუდიტორია. წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებული იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება განახორციელოს ჟურნალისტური საქმიანობა. აღნიშნული დოკუმენტი საქმეს არ დაერთო, რადგან საჯარო ინფორმაციაა, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია განახორციელოს ჟურნალისტური საქმიანობა და ეს არ არის სადავო.

5.8 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე ადვოკატმა იშუამდგომლა საქმეს პრეცედენტის სახით დაერთოს ეთიკის კომისიის კონკრეტული გადაწყვეტილებები, ამავე კოლეგიის მიერ გამოტანილი. კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგან ადვოკატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ არის სწორი, გადაწყვეტილებები არ არის ამავე კოლეგიის გამოტანილი. ამასთან, წარმოდგენილი გადაწყვეტილებები ფაქტების ნაწილში სადავო საკითხთან მიმართებით განსხვავებულია და არ უკავშირდება განსახილველ საქმეს. რაც შეეხება ამ გადაწყვეტილებების გამოყენებას არგუმენტაციაში, კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს აქვს უფლება მისი პოზიცია დაასაბუთოს და გამოიყენოს ნებისმიერი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელსაც ის ჩათვლის საჭიროდ, მხოლოდ ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს, თარიღისა და საქმის ნომრის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მითითებით.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტები:

6.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

6.1.1 ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი წარმოადგენს ლ. ზ.-ს ინტერესს, ფ. შ.-ისა და ი. შ.-ს მიმართ დავაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა პოზიციები;

ადვოკატის მოწმის, ლ. ზ.-ს ახსნა-განმარტება.

6.1.2 2022 წლის 5 ივნისს და 11 ივლისს სოციალურ ქსელ „Facebook-ის“ მომხმარებლის გვერდიდან „ლაშა ჯანიბეგაშვილი“ საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის „პოსტები“:

5 ივნისის პოსტი: **ციტირება** - *„ცნობილი დოქტორი ამერიკაში მცხოვრები მილიონერმა საკუთარ ნათესავის ბინა ჯერ გადაიფორმა ხელშეკრულების გარეშე შემდეგ კი ფულს სძალავდა ატყუებდა საკუთარ ნათესავებს, შემდეგ მე ადვოკატს ანუ მე მოლაპარაკება რომ ვცადე შანტაჟი გამიკეთა და დამემუქრა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს რომლებიც მისი დეიდაშვილები არიან ქუჩაში ყრის. მითხარით რა არის ეს?“;*

11 ივნისის პოსტი: **ციტირება** - *„ფ. შ.-ვ არაერთხელ მოგწერეთ თქვენი და თქვენი მეუღლის ი. შ.-ს მიმართ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თქვენი მეუღლის ნათესავია რომლის ქონებაც გადაიფორმეთ და თანხას სძალავდით წლობით. ან კავშირზე გამოდით დროულად ან იძულებული ვიქნები შესაბამის სამართლებრივ ზომებს მივმართო. მე არ მესმის მილიონერი როცა ხარ, საკუთარ ნათესავს ბინას რატომ უნდა ართმევდე და ფულს რატომ უნდა სძალავდე?!!“*

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2022 წლის 5 ივნისის და 11 ივლისის „პოსტები“, რომელიც გამოქვეყნებულია Facebook-ის“ მომხმარებლის გვერდიდან „ლაშა ჯანიბეგაშვილი“

6.1.3 სოციალურ ქსელ „Facebook-ის“ მომხმარებლის გვერდიდან „ლაშა ჯანიბეგაშვილი“, ფ. შ.-მ მიიღო შეტყობინება: „ლ. ზ.-ს ადვოკატი ვარ თქვენი დეიდაშვილის“. შეტყობინებას თან ერთვის მინდობილობა ფოტოს სახით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი „სქრინი“

6.1.4 ადვოკატს ფ. შ.-სთან, მის ელ. ფოსტაზე კომუნიკაცია ჰქონდა ორი ელ.ფოსტის მეშვეობით - **********@gmail.com და **********@mail.ru.

ელ. ფოსტით - **********@mail.ru განხორციელებული კომუნიკაცია:

ადვოკატი: *„გამარჯობათ, ადვოკატი ვარ ლაშა ჯანიბეგაშვილილელია ზ.-ს ადვოკატი ვარ რომელიც თქვენი მეუღლის ნათესავია. მოლაპარაკება მსურს თქვენთან როგორ გავაფორმოთ ბინასთან დაკავშირებით“*

ფ. შ. - *„გამარჯობა, ვინ ბრძანდებით? თუ გამართულ ქართულად ვერ წერთ მომწერეთ თქვენთვის მისაღებ ენაზე. გთხოვთ წერილს მიუთითოთ „subject“ და გამოიყენოთ ოფიციალური იმაილის მისამართი. რუსულ სერვერებიდან იმაილებს ძიითადად არ ვღებულობ/ვკითხულობ“*

ადვოკატი - *„გამარჯობათ ადვოკატი ვარ როგორ დაგეკონტაქტოთ“*

ადვოკატი - *„ტელეფონი მომწერეთ არცისაა გამართული საკუთარ ნათესავს ათასებიარიცხინოთ“*

ფ. შ. - *„კიდევ ერთხელ, გთხოვთ ჩამოაყალიბოთ რა მოპალარაკებაზე საუბრობთ, რა საკითხი გინდათ განიხილოთ, რას ითხოვთ? გთხოვთ გამართული ქართულით დაწეროთ წერილი და მომწეროთ არა რუსული სერვერიდან“*

ადვოკატი - *„გამარჯობათ ბატონო ფ. თქვენს მეუღლეს და თქვენთან მოლაპრაკება მსურს ვაწარმოო თქვენი მეუღლის ახლო ნათესავის ადვოკატი ვარ თქვენი პასუხი მაცნობეთ“* (შეტყობინებას თარ ერთვის 2 pdf ფაილი დასახელებით - მინდობილობა; ადვოკატის ნომერი).

ადვოკატი - *„თუ რამევერ გაიგეთ გაიკითხეთვინაა ლაშა ჯანიბეგაშვილი ადვოკატი მოლაპრაკებისმიზნით გწერთ შეურაცყოფებს ნუ მაყენებთ“*

ადვოკატი - *„რა თანხას ითხოვთ სანაცვლოდ ბინა რომ დაუბრუნდეს ჩემს მარწმუნებელს ხელშკერულება გავაფორმოთ“*

ადვოკატი - *„ადამიანთან ნდობაში შესვლა ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით ქონებრივისარგებლის მიღება და მოტყუება თაღლითობის შემადგენელი ნაწილია იურიდიულ სფეროში. ბატონო ფ. სავარაუდო დანაშაულია ჩადენილი ჩემი მარწმუნებლის მიმართ ხელშეკრულების გარეშე 10 000$ აქვს გადახდილი ანმევერგიხსნით ან თქვენ ვერ აცნობიერებთ რასათან გაქვთ საქმე“*

ფ. შ. - *„გთხოვთ დაწეროთ გამართული წინადადებები სასვენი ნიშნებით! საუბრის გაგრძელებისთვის მინდა თქვენი დიპლომის ასლი, მინდა ვიცოდე რომელი უნივერსიტეტი დაამთავრეთ, რომელ წელს? კიდევ ერთხელ, მომწერეთ არა რუსული სერვერებიდან, შესაძლებელია თქვენი mail.ru დაიბლოკოს და მე აღარ მივიღო თქვენი შეტყობინება“*

ადვოკატი - *„ჯანმრთელი თუ ხართ?“*

ადვოკატი - *„რასასვენი ნიშნები თაღლითობებზე ვსაუბრობ ჩემიდაცვის ქვეშ მყოფის ბინა გაქვთ გადაფორმებული საკუთარი ცოლის ნათესავის და ემუქრებით ღია ცის ქვეშ დარჩენით კიდე მე მიდევთ ასეთ საუბარს?????“*

ადვოკატი - *„თქვენი დიპლომი არ მაინტერესებს არც თქვენი მიღწევები, მესაქმეზე გიკავშირდებით, ადვოკატი დამაკავშირეთ თქვენ თუ ელემენტარულ იურიდიულ ტერმინებში ვერ ერკვევით“*

ადვოკატი - *„ძაან არ მომწონს თქვენი საუბარი მაიძულებთ საჩივრები შევიტანო გენ პროკურატურაში და პრესკონფერენციები ჩავატარო.... თაღლითობებია ამ საქმეში თანხას რის საფუძველზე სძალავდით ჩემიდაცვის ქვეშ მყოფს???“*

ადვოკატი - *„მეორედ მსგავსი შეურაცმყოფელი ტექსტი არ მომწეროთ თქვენს სტუდენტებში ნუ გეშლებით“*

ადვოკატი - *„ბატონო ფ. რამდენიც გინდათ თანხა დავაფიქსიროთ მაგ 18 000$ მაგ 10 000$ ეს ყველაფერი ტელეფონით გწერთ დაბოდიშით ახალიტელეფონია და კლავიატურა ცოტა ურევს“*

ადვოკატი - *„ჯიმაილიდან გწერთ კეთილი ინებეთ და მიპასუხეთ თაღლითობით შეიძლება ვიჩივლოთ იძულბულ გვხდით გამოძიება თუ დაიწყება ინტერპოლს ჩავრთავთ და ამერიკის საელჩოს და ამერიკის ფედერალურ პოლიციას“*

ადვოკატი - *„თქვენ რომელი უნივერსიტეტი დაამთავრეთ? თუ შეიძლება მომწერეთ გამართულ იჩამოყალიბებული აზრი შეგახსენებთ თაღლითობის ნიშნებია თქვენს საქმეში“*

ელ. ფოსტით - **********@gmail.com განხორციელებული კომუნიკაცია:

ადვოკატი - *„ბატონო ფ. გამარჯობათ მე ლაშა ჯანიბეგაშვილი ვარ“*

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა პოზიციები;

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ელ.ფოსტით განხორციელებული მიმოწერა

6.2 სადავო ფაქტები:

მხარეთა შორის სადავოა, კონკრეტული 2022 წლის 5 ივნისის და 11 ივლისის საჯარო პოსტი, რომელიც გამოქვეყნებული იყო სოციალურ ქსელში „Facebook“ დაწერილია თუ არა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ.

კოლეგიამ შეაფასა სადავო ფაქტის მტკიცების ტვირთი და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარმოუდგინოს საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. „მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე. როგორც წესი, ფაქტის მითითებისა და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი“; ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს და საქმეზე გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.07.2022 წლის გადაწყვეტილება, საქმე Nას-521-22).

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია „სქრინები“ სოციალური ქსელი „Facebook-იდან“, რომელთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

1. განცხადება გამოქვეყნებული არის სოციალურ ქსელ „Facebook-ის“ მომხმარებლის გვერდიდან „ლაშა ჯანიბეგაშვილი“, სადაც მითითებულია ადვოკატის მოქმედი ელ.ფოსტა, რომლითაც საქმის წარმოების პროცესში ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს აქვს ეთიკის კომისიასთან კომუნიკაცია (**********@gmail.com). 2. პოსტში აღწერილია ადვოკატის საქმის შინაარსი, რომელიც შეიძლება იცოდეს მხოლოდ საქმის მხარემ და მისმა ადვოკატმა; ანალოგიური საქმის შინაარსი ასევე აღწერილია მხარეთა შორის ელ.ფოსტით განხორციელებულ კომუნიკაციაში, რომლიც კუთვნილებაც ადვოკატმა დაადასტურა 3. ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების შინაარსი ემთხვევა ადვოკატის პოსტებისა და შეტყობინებების შინარსს; 4. პოსტზე აკომენტარებს არაერთი ადამიანი და ადვოკატი მათ პასუხობს - საქმის შინაარსის ცოდნით; 5 ივნისის პოსტის კომენტარებში ადვოკატს მონიშნული ჰყავს ფ. შ.-ის მეგობარი ა. ბ. კითხვით - „იცნობ მას?“. ადვოკატი აქტიურად პასუხობს პოსტის კომენტარებს. პოსტის კომენტარებში საჩივრის ავტორი მოხსენიებულია სიტყვებით: „ღორობა“; „თავგასულობა“; „უნამუსობა„; „ნაგავი“, „უღმერთო გაუმაძღარი ღორის საქციელი“ და ა.შ. 6. ადვოკატი ადასტურებს, რომ აღნიშნული გვერდი მას ეკუთვნოდა, თუმცა გაუტეხეს. ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს

მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად: „2022 წლის 16 აგვისტოს დაუდგენელმა პირმა უნებართვოდ შეაღწია ადვოკატის კუთვნილ სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ პროფილზე „ლაშა ჯანიბეგაშვილი“. ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არ ამყარებს ადვოკატის პოზიციას, რადგან სადავო პოსტი გამოქვეყნებულია 16 აგვისტომდე, კერძოდ - 5 ივნისს და 11 ივლისს. ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს საჯაროდ არასოდეს უარყვია, რომ ის განცხადებები, რომლებიც მისი „Facebook“ პროფილიდან გამოქვეყნდა, მის მოსაზრებას არ წარმოადგენს, არ გამოუთქვამს არანაირი სინანული ან უარყოფა. 7. ადვოკატის მოწმემ, ლ. ზ.-მ დაადასტურა, რომ ლაშა ჯანიბეგაშვილი იყო მისი ადვოკატი და მას მისცა ფაქტების გასაჯაროვების უფლება; 8. ადვოკატმა დაადასტურა, რომ ფ. შ.-სთან კომუნიკაცია ჰქონდა ელ. ფოსტის მეშვეობით 9. ასევე, ადვოკატი სამართალწარმოების დროს სადავო საკითხთან დაკავშირებით მუდმივად იცვლიდა პოზიციებს: კერძოდ, საპროცესო ეტაპზე ადვოკატმა განმარტა, რომ საერთოდ არ იცნობდა ფ. შ.-ს; ადვოკატმა განმარტა, რომ საქმეზე დართული მიმოწერები ავთენტური არაა და წარმოდგენილ მტკიცებულებას სადავოდ ხდის; განხილვის ეტაპზე ადვოკატმა მიუთითა, რომ ის წარმოადგენდა ლ. ზ.-ს ადვოკატს და მის საქმეზე ჰქონდა კომუნიკაცია ფ. შ.-სთან, ელ.ფოსტის მეშვეობით, ელ. ფოსტით გაგზავნილი წერილის შინაარსი კი ასეთია: ციტირება - *„ძაან არ მომწონს თქვენი საუბარი მაიძულებთ საჩივრები შევიტანო გენ პროკურატურაში და პრესკონფერენციები ჩავატარო.... თაღლითობებია ამ საქმეში თანხას რის საფუძველზე სძალავდით ჩემიდაცვის ქვეშ მყოფს???“.* თავის მხრივ, ადვოკატი თავის პოზიციაში უთითებს, რომ „მე რომ ასოციაციის წევრი არ ვიყო, ფ. შ. ახლა რაზეც დავობს ეს არაფერია, ისეთი ბულინგის მსხვერპლი გახდებოდა“; ასევე, ადვოკატის პოზიციაა, რომ კლიენტის ინტერესის დასაცავად ინფორმაციის გასაჯაროვება არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას.

შეჯამების შედეგად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობით, კოლეგიამ დაადგინა, რომ 2022 წლის 5 ივნისს და 11 ივლისს სოციალურ ქსელ „Facebook-ში“ სადავო საჯარო პოსტი გამოქვეყნებულია ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა წერილობითი და ზეპირი პოზიციები;

2022 წლის 5 ივნისის და 11 ივლისის პოსტი, წარმოდგენილი „სქრინის“ სახით;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს ცნობა;

ადვოკატის მიერ ფ. შ.-სთან ელ. ფოსტის მეშვეობით განხორციელებული მიმოწერა;

ადვოკატის მოწმის, ლ. ზ.-ს პოზიცია.

7. **შემაჯამებელი დასკვნა**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, გამოკითხა მოწმე და ადგენს, რომ ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. **სამართლებრივი შეფასება:**

8.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ დარღვეულია კლიენტის კანონიერი და ეთიკური საშუალებებით დაცვისა და პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება:

8.1.1 ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).

8.1.2 კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

8.1.3 ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.გ).

8.1.4 ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს; ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 9.1 და 9.4).

8.2 ადვოკატი მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის დახმარებას მხოლოდ კანონიერი საშუალებების გამოყენებით. პროფესიული რეგულაცია კანონიერების პრინციპს ყველა სხვა პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპზე მაღლა აყენებს. პროფესიული ეთიკა ადვოკატს ქცევის ჩარჩოს უდგენს - მისი სტატუსიდან გამომდინარე ნებისმიერ ქცევაში დაცული უნდა იყოს კანონმდებლობა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკა. ადვოკატის პროფესია ადვოკატისთვის, რომელიც კლიენტის ინტერესების გამტარია, კლიენტის მითითებებზე მაღლა კანონიერების ფარგლებში მის დაცვას აყენებს. დაუშვებელია ადვოკატმა აირჩიოს კლიენტისთვის სასიკეთო, მაგრამ კანონსაწინააღმდეგო ან არაეთიკური საშუალებები პროფესიულ საქმიანობაში.

8.3 „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“ 22.06.2010 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N010/10).

8.4 „კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები. თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს“ (ეთიკის კომისიის 22.06.2010 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N057/10).

8.5 „ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს. ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლება, მჭიდროდაა დაკავშირებული ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობასთან. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება მოიცავს როგორც მის მიერ გამოხატული ნებისმიერი იდეისა და ინფორმაციის შინაარსს, ასევე მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კომენტარ(ებ)ის გაკეთების უფლებას. თუმცა ევროპული სასამართლოს მიერ მრავალ საქმეში მითითებული სტანდარტის თანახმად, კრიტიკა არ შეიძლება გასცდეს დასაშვებ საზღვრებს“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე *Morice v. France*, 134).

8.6 „ევროპული სასამართლოს განმარტებით ერთმანეთისაგან ფუნდამენტურად უნდა განვასხვავოთ ადვოკატები და ჟურნალისტები. ხსენებული იმით აიხსნება, რომ ადვოკატებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ისინი ემსახურებიან მართლმსაჯულების განხორციელებას და არ აკისრიათ „დემოკრატიის მოდარაჯის როლი,“ როგორც ჟურნალისტებს“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, საქმეზე: Studio Monitori and Others v. Georgia, 42, და 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე: Morice v. France 148, 168). ადვოკატი არ შეიძლება მივიჩნიოთ ობიექტურ დამკვირვებლად, რომელსაც აკისრია საზოგადოების ინფორმირების პასუხისმგებლობა, რადგან ადვოკატი უშუალოდაა ჩართული და წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს. ადვოკატის მიერ გაკეთებული კომენტარები შესაძლოა ჩაითვალოს მართლმსაჯულების სისტემის სხვა მონაწილეების (სასამართლო, პროკურატურა, შსს, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი) პატივის, ღირსების, რეპუტაციის შემლახველად.

8.7 განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის საჯარო განცხადებების გამოხატვის ადგილზე (სოციალური მედია) და შესაბამისად, უთითებს ეთიკის კომისიის პრაქტიკას სოციალურ ქსელში ადვოკატზე ეთიკის კოდექსის გავრცელების თაობაზე. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით - „ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე“, ხოლო ადვოკატთა ეთიკის კოდექსის შესავალ ნაწილში მითითებულია - „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“.

8.8 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია ნდობის წარმოშობა არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსის მიმართ, რაც განისაზღვრება არა მხოლოდ ადვოკატის ქცევით კონკრეტული პროფესიული დავალების განხორციელებისას, არამედ მისი ქცევით ყოველდღიურად კლიენტებთან, კოლეგებთან, საქმის მწარმოებელ ორგანოებთან თუ პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობაში, ვინაიდან ადვოკატისთვის მისი პროფესია არის ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი და თანამდევი ნაწილი.

8.9 ეთიკის კომისიამ ჯერ კიდევ 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა პრაქტიკა, გაავრცელა რა ეთიკის კოდექსის მოქმედება ადვოკატის ქცევაზე სოციალურ ქსელში, როდესაც ადვოკატმა გააზიარა ინტერნეტ გამოცემა, სადაც მის კოლეგას გამოთქმული ჰქონდა სამართლებრივ საკითხზე მოსაზრება და შეურაცხმყოფელი კომენტარით მოიხსენია კოლეგა (ეთიკის კომისიის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №034/14). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2015 წლის 6 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე №დს-შ/5-15 ადვოკატთა ეთიკის კოდექსი გაავრცელა ადვოკატზე მიუხედავად იმისა, რომ სადავო ქცევისას ადვოკატი სამოქალაქო დავაში წარმოადგენდა მხარეს და არ ახორციელებდა წარმომადგენლობით საქმიანობას. სასამართლომ განმარტა: „ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში… კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“. ეთიკის კომისიამ და უზენაესმა სასამართლომ გაიზიარეს ანალოგიური შეფასება სხვა დისციპლინურ საქმეშიც (ეთიკის კომისიის 25.05.2022 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N089/21; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 16.09.2022 წლის გადაწყვეტილება, საქმე Nსსდ-03-22; ეთიკის კომისიის 03.11.2023 გადაწყვეტილება, საქმე N033/22, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 27.12.23 წლის გადაწყვეტილება, საქმე Nსსდ-07-23), სადაც დადგინდა დარღვევა ადვოკატის მიერ სოციალური ქსელის მეშვეობით გამოხატულ აზრთან დაკავშირებით.

8.10 „ადვოკატის გამონათქვამების მართებულობის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ სად გაკეთდა კომენტარები, სასამართლო დარბაზში, ადმინისტრაციულ შენობაში თუ საჯაროდ (პრესკონფერენციაზე, სოციალურ ქსელში და ა.შ.). სასამართლო დარბაზში გაკეთებულ განცხადებებთან მიმართებით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით გაიმეორა თუ არა იგივე კომენტარები შემდგომ საჯაროდ, ადვოკატს გამოხატვის ბევრად უფრო ფართე თავისუფლება გააჩნია. მართლმსაჯულების სისტემის მონაწილეების საჯარო კრიტიკის შემთხვევაში ადვოკატს ბევრად მეტი წინდახედულება მართებს“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე *Saday v. Turkey*, 43).

8.11 „შესაბამისი საქმეების განხილვისას ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე კონკრეტული გამონათქვამი წარმოადგენს კრიტიკას თუ შეურაცხყოფას. იმ შემთხვევებში თუკი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რწმუნდება, რომ კონკრეტული გამონათქვამი არ ემსახურებოდა მართლმსაჯულების კრიტიკას, მოსამართლის ან პროკურორის კონკრეტული ქმედების, სტრატეგიის კომენტირებას, და მიზნად ისახავს მხოლოდ შეურაცხყოფის მიყენებას, ევროპული სასამართლო ამართლებს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმეზე *Skałka v. Poland*, 33).

8.12 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა 2022 წლის 11 ივლისს გამოაქვეყნა „Facebook“ პოსტი, რომლებიც მიემართება მისი კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდგე მხარეს - ფ. შ.-ს. კოლეგიამ შეაფასა ადვოკატის არგუმენტი, რომ ის მოქმედებდა არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც ჟურნალისტი. ადვოკატის ეს არგუმენტი კოლეგიისათვის არ არის სარწმუნო, რადგან დღეის მდგომარეობით ლაშა ჯანიბეგაშვილი არის მოქმედი ადვოკატი, ის შესაძლოა ზოგადად იყოს „ბლოგერი“, რომელსაც ჰყავს მიმდევრები, თუმცა ეს საქმიანობა ვერ ჩაითვლება ამ საქმეში ჟურნალისტურ საქმიანობად და ვერ მოახდენს იმ ვალდებულებების ნეიტრალიზებას, რაც ადვოკატს პროფესიული რეგულაციებით აკისრია. წარმოდგენილ საქმეში ლაშა ჯანიბეგაშილის, როგორც ადვოკატის ჩართულობა თავიდანვე ცხადი იყო, რომელიც დასტურდება როგორც მხარეთა და მოწმის ახსნა-განმარტებებით, ასევე საქმეში წარმოდგენილი მტკიცებლებებით (ელ. მიმოწერები, ფაისბუქ მიმოწერები და.ა.შ.). შესაბამისად, ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილზე ვრცელდება ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა და იგი ვალდებულია დაიცვას ის რეგულაციები, რომელსაც პროფესია უწესებს მის თითოეულ წევრს.

8.13 ადვოკატმა პოსტში საჯაროდ დაწერა ინფორმაცია, განათავსა კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ფოტო და საზოგადოებას მისცა შესაძლებლობა, მიწოდებული ინფორმაციის კონტექსტში გამოეთქვათ საკუთარი აზრი. კომიისის მიერ შესაფასებელია შემდეგი საკითხები: 1. რამდენად შეესაბამება საადვოკატო საქმიანობას მოწინააღმდეგე მხარის ფოტოს განთავსება და ფაქტების გავრცელება; 2. ეთიკურია თუ არა საქმეზე ინფორმაციის გავრცელება, მაშინ როდესაც ადვოკატი არ იცნობს საქმის ფატებს 3. ეთიკურია თუ არა საზოგადოებასთან ისეთი სახით ინფორმაციის გავრცელება, როდესაც საზოგადოების რეაგირებას წარმოადგენს ადვოკატის კლიენტის პროფესუალური მხარის შეურაცხყოფა. კომისიის შეფასებით, ინფორმაციის გასაჯაროვება წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის ნაწილს იმ დათქმით, რომ გასაჯაროვებული ინფორმაცია არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი, მუქარისა თუ შანტაჟის შემცველი და სამიზნე აუდიტორია საკითხის განხილვაში ჩართული უნდა იყოს სწორი ფორმით. ადვოკატმა უნდა დასახოს საქმის წარმართვის სამართლებრივი სტრატეგია და სამართლებრივად აწარმოოს საქმე, მათ შორის, ადვოკატს აქვს უფლება კლიენტის თანხმობით გაასაჯაროვოს სწორი ინფორმაცია. განსახილველ შემთხვევაში, გავრცელებულ ინფორმაციაში ფ. შ. დადგენილად მოხსენიებულია, როგორც „გამომძალველი“ და „ფულის მიმთვისებელი“. პოსტში გარემოებები მითითებულია არა აზრის, არამედ ფაქტების სახით. ადვოკატის მიერ პოსტში გავრცელებული ინფორმაცია არ წარმოდგენს სწორ ინფორმაციას, რადგან „ფულის გამოძალვის“; „ბინის გამოძალვის“ ფაქტი არ არის დადგენილი სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. პროფესიულ სტანდარტს წარმოადგენს და ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა, საზოგადოების წინაშე გაავრცელოს სწორი ინფორმაცია. ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია

იმ პირობებში, როდესაც საქმის ფაქტებს თავად არ იცნობდა - განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატი მოწმესთან, თავის კლიენტთან აზუსტებდა საქმის ფაქტებს. ადვოკატის მიერ არასწორი და გამოუკვლეველი ინფორმაციის გავრცელების შედეგად, პოსტის კომენტარებში არაერთი ადამიანი საჩივრის ავტორს მოიხსენიებდა შეურაცხმყოფელი ტერმინებით: „ღორობა"; „თავგასულობა"; „უნამუსობა„; „ნაგავი", „უღმერთო გაუმაძღარი ღორის საქციელი", რომელიც ადვოკატს არ წაუშლია. ადვოკატს საზოგადოების ქცევაზე არ ჰქონია პროფესიული სტანდარტის შესაბამისი რეაგირება, მან არათუ წაშალა პოსტი, არამედ თავადაც დატოვა კომენტარები და დისკუსიაში შედიოდა კომენტარების ავტორებთან, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებდნენ ფ. შ.-ს. ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა პროცესის მონაწილე მხარის იძულება - მის კლიენტთან წასულიყო შეთანხმებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის განმარტებით, მსგავსი ქმედება იყო მისი სტრატეგიის ნაწილი, კომისია განმარტავს, რომ მართალია ადვოკატი დამოუკიდებელია დაცვის სტრატეგიის განსაზღვრაში, თუმცა, ეს სტრატეგია უნდა იყოს კანონისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად შერჩეული. მოცემული ფორმით შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გასაჯაროვება, „შანტაჟი" და „მუქარა", კომისიის შეფასებით, ვერ ჩაითვლება ეთიკური სტანდარტების შესაბამისად შერჩეულ სტრატეგიად. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები უნდა დაიცვას სამართლებრივი, კანონიერი და ეთიკური საშუალებებით.

8.14 ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა პროფესიული სტანდარტი არც განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაიცვა, სადაც არაერთხელ განმარტა, რომ „ფ. შ.-მ თაღლითური გზით მიისაკუთრა ლ. ზ.-ს ქონება და მას 4 წელი სისხლიან ფულს სძალავდა"; ამავე დროს, საჩივრის ავტორს უწოდა „მანიპულატორი"; „არაადეკვატური" და მის ქმედებას შეაფასა როგორც „ამორალური და ზღვარს გადასული".

8.15 საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა კლიენტის საქმეზე გაასაჯაროვა არასწორი, გამოუკვლეველი ინფორმაცია, მხარისათვის შეურაცხმყოფელი ფორმით. პოსტების შინაარსში გამოხატული მოსაზრებები არ ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლეში, რადგან ის გადმოცემულია შეურაცხმყოფელი ფორმით, რომელსაც არ აქვს ლეგიტიმური მიზანი. ადვოკატის მიერ არასწორი, შეურაცხმყოფელი ფაქტების გასაჯაროება და გავრცელება, რასაც აქვს არა სამართლებრივი, არამედ მხარეზე იძულების - შანტაჟის სახე მისი დისკრედიტაციით, წარმოადგენს პროფესიული სტანდარტების შეუსაბამო ქცევას და ეთიკურ გადაცდომას.

8.16 განხილვის კოლეგიამ შეაფასა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის ქცევა, მის მიერ ფ. შ.-ის მისამართით გამოქვეყნებული საჯარო პოსტების შინაარსი და დაადგინა, რომ ლაშა ჯანიბეგაშვილის მხრიდან ვლინდება დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ - კლიენტის ინტერესების კანონიერი და ეთიკური საშუალებით დაცვისა და პროცესის მონაწილესთან კომუნიკაციის სტანდარტის დარღვევა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5.გ და 6.1; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 5, 9.1 და 9.4), რის გამოც ადვოკატს დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

8.17 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება,

საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

8.18 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 22.05.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

8.19 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

8.20 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

8.21 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

8.22 განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის დამოკიდებულებას საკითხისადმი. 2024 წლის 17 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომის მიმდინარეობისას, ადვოკატი მხარეს, ფ. შ.-ს

უყვიროდა, თავის პოზიციას აფიქსირებდა შეუფერებელი - მუქარის შემცველი და ყვირილის ტონით, რის გამოც კოლეგიამ მას არაერთხელ მოუწოდა სხდომაზე დაეცვა წესრიგი. ადვოკატის არასათანადო ქცევის გამო, კოლეგიამ მას სხდომის მიმდინარეობისას რამდენჯერმე გამოურთო მიკროფონი. ადვოკატი არ ნანობს და მიიჩნევს, რომ მისი ქცევა ეთიკურია. ადვოკატმა სხდომაზე გულისწყვეტა გამოხატა იმის გამო, რომ პროფესიული რეგულაციების გამო, ის სათანადოდ ვერ ამხელს „მატყუარებს და თაღლითებს". თავისი ქცევით, ადვოკატი ხელს უშლიდა საკითხის კვლევას. კომისიას აძლევდა ურთიერთგამომრიცხავ ახსნა-განმარტებებს, არაეთიკური ქცევა გახდა ადვოკატის სტრატეგია. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს, ადვოკატის ქმედებით ადვოკატის პროფესიას მიადგა ზიანი, რომელმაც დააზიანა საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობა, ასევე ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის 03 ნოემბრის გადაწყევტილება საქმეზე 033/22; რომელიც ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 27 დეკემბრის სსდ-07-23 გადაწყვეტილებით) და მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

8.23 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და გადაწყვიტა, რომ ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.1(ა), 35, 35[1], 36 მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33.11, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N056/22 დადგინდეს ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის /სიითი №6128/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/